სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია
საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში
(ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტები)

ADMINISTRATION OF THE STATE ATTORNEY
IN GEORGIA'S ADMINISTRATIVE-TERRITORIAL UNITS
(Akhmeta, Gurjaani, Dedoplistskaro, Telavi, Lagodekhi, Sagarejo, Signagi and Kvareli Municipalities)

N 01/791
25/05/2020

791-01-2-202005251428

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

მოგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 თებერვლის N120 დადგენილებით დამტკიცებული „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის“ შესაბამისად, კახეთის რეგიონის ექვს მუნიციპალიტეტში აშენდა ათი ახალი ამბულატორია.

მოცემული დროისთვის ათი ახალი აშენებული ამბულატორიიდან, ხუთი (ახმეტა-1, გურჯაანი-1, საგარეჯო-1, სიღნაღი-2) მუშაობს ძველი ინვენტარით, რაც არ არის შესაბამისი და საკმარისი მოქალაქეთა ეფექტური მომსახურებისათვის, ხოლო დანარჩენი ხუთი (ახმეტა-1, თელავი-1, ლაგოდეხი-3) ამბულატორია შესაბამისი ინვენტარის არქონის გამო ამ დრომდე არ არის გახსნილი.

ახალი ამბულატორიების ეფექტური ფუნქციონირებისათვის მოგმართავთ თხოვნით, შესაძლებლობის ფარგლებში აღმოუჩინოთ დახმარება შესაბამისი ინვენტარით და აღჭურვილობით უზრუნველყოფაში.

პლატონი კალმახელიძე

სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე

საქართველო, ქ. თელავი, 2200, ერეკლე II-ის გამზ. №16, ტელ/ფაქსი: (0350)276000;
16 Erekle II ave., Telavi, 2200, Georgia; Tel/Fax: (+995350)276000; E-mail: info@kakheti.gov.ge